როგორ ცვლიან მშობლები სკოლას

P4E
მშობლები
განათლებისთვის

რედაქტორი: მეგი კავთუაშვილი

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:
მარიამ მჭედლიშვილი
ეკა გიორგაძე
ციცი თოფურიძე
მედეა ტურაშვილი
სოფიკო კალანდაძე
მარიამ საკანდელიძე
ხატია მიმინოშვილი
ქეთევან ნახუცრიშვილი
თამარ ფირცხალაიშვილი
შორენა გიგოლაშვილი
ნინო ბალუაშვილი
მაკა ტოკლიკიშვილი
მარიამ გაგანაშვილი
თეა ოთარაშვილი
ია არდალაშვილი
ტატა კუტალაძე
ლორა შუბითიძე

დიზაინი, დაკაბადონება: შპს ინდიგო

პუბლიკაცია მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“. USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

P4E მშობლები განათლებისთვის

როგორ ცვლიან მშობლები სკოლას

2023

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

თავი 1. აქტიური და მზრუნველი მშობლობის გამოწვევები სკოლაში 7

რატომ არის მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა? 8

როგორ ესმოდათ უწინ „მშობელთა ჩართულობა“ საქართველოში? 10

როგორია მშობელთა ჩართულობა თანამედროვე გაგებით? 12

რა უფლებებს ანიჭებს მოსწავლეთა მშობლებს კანონი?..... 13

რა შეუწყობს ხელს მშობელთა ჩართულობის თანამედროვე სისტემის დანერგვას?..... 14

რა მოტივი ამოძრავებთ აქტიურ და მზრუნველ მშობლებს? ... 16

თავი 2. მშობლების აქტიურობის წარმატებული მაგალითები 19

სკოლებში მავნე საკვებით ვაჭრობა აიკრძალა – მშობლების ძალისხმევით მიღწეული ეროვნული შედეგი 20

მშობლების ინიციატივით სკოლის დასუფთავებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი გაიზარდა 25

ბავშვებისა და მშობლების მოთხოვნით სკოლასთან შუქნიშანი დამონტაჟდა 27

წიგნიერების კლუბი – მშობელთა მოხალისეობა თელავის სკოლაში 30

მშობლები ახალციხის სკოლაში ჭადრაკის გარე დაფის მოსაწყობად თანხას აგროვებენ 37

თავი 3. რეკომენდაციები მშობლებს 39

როგორ მოვიზიდოთ ფინანსები სასკოლო საჭიროებებისთვის 40

როგორ დავამყარო სკოლასთან სწორი კომუნიკაცია 48

როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენი შვილის სკოლაში პრობლემაა 54

წინასიტყვაობა

წლების წინ, როცა თანამოაზრეებმა მშობელთა ასოციაციის დაფუძნება გადავწყვიტეთ, ზუსტად ვიცოდით, რომ მშობელთა აქტიური მონაწილეობა ბევრ სარგებელს მოუტანდა ჩვენს შვილებს, მათ სკოლას, მასწავლებლებს და მთლიანად განათლების სისტემას. გავერთიანდით იდეით, რომ განათლების სისტემაში დემოკრატიული გარემოს შექმნას შევუწყობდით ხელს და ამ გზისთვის არასოდეს გადაგვიხვევია.

ჩვენ, მშობლებს, გვინდა, რომ სკოლაში ბავშვები სიხარულით დადიოდნენ და სწავლობდნენ. გვინდა, რომ სკოლა ხელს უწყობდეს თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდას.

სკოლას წამყვანი ძალა აქვს დემოკრატიული საზოგადოების შენებაში. ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება სწორედ სასკოლო ასაკში ხდება. ბავშვები გვიყურებენ ჩვენ, მშობლებს და მასწავლებლებს. ისინი არ იქცევიან ისე, როგორც ჩვენ მივუთითებთ; ისინი იქცევიან ისე, როგორც ჩვენ ვიქცევით.

სწორედ ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ შედგეს მშობლების და მასწავლებლების თანამშრომლობა. სხვანაირად ბავშვები ვერ ისწავლიან დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებაში გამოყენებას.

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, 2023 წელს ჩვენ დავეხმარეთ საქართველოს 6 რეგიონში მცხოვრებ მშობლებს. ხელი შევუწყეთ მათ, აქტიურად და ორგანიზებულად მიეღოთ მონაწილეობა შვილების სასკოლო ცხოვრებაში. ჩვენი თითოეული აქტივობა, მიმართული იყო სკოლასა და ოჯახებს შორის დიდი ხნის წინ ჩატეხილი ხიდის მშენებლობაზე. პროექტის მონაწილე მშობლების თითოეული ნაბიჯი ჰგავდა თითო აგურის დადებას სასკოლო დემოკრატიის მშენებლობის საქმეში.

ამ პუბლიკაციით გვინდა ფართო საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ გზა, რომელსაც მოსწავლეთა მშობლები გადიან, არ არის მარტივად სავალი. წინ ბევრი წინაღობა ხვდებათ, თუმცა როდესაც ისინი ბავშვების მხარეს დგანან, წარმატებული შედეგების მიღწევა გარდაუვალია.

ჩვენი გუნდი მადლობას უხდის **USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამას** ნდობისთვის, უხვად გაზიარებული ცოდნისა და მეგობრობისთვის.

მეგი კავთუაშვილი,
„მშობლები განათლებისთვის“ აღმასრულებელი დირექტორი

თავი 1.
აქტიური და მზრუნველი მშობლობის გამოწვევები სკოლაში

რატომ არის მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა?

ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახი და სკოლა. მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა უმრავლესობისთვის წარმატების გასაღებია.

მშობლები ქმნიან განსხვავებას. მათ აქვთ განსხავებული რესურსები, შესაძლებლობები, განათლება, უნარები, სანაცნობო წრე და გავლენები. მშობლებს შეუძლიათ სასკოლო ცხოვრება გახადონ ბევრად უფრო მრავალფეროვანი და ბავშვებისთვის საინტერესო, თავად ჩაატარონ გაკვეთილები, მოიწვიონ საინტერესო ადამიანები, მოიზიდონ ფინანსები სასკოლო საჭიროებებისთვის, დაეხმარონ შვილებს და მათ თანაკლასელებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, დაანახონ კავშირი რეალურ და სასკოლო ცხოვრებას შორის და რაც მთავარია, იმეგობრონ შვილებთან და მათ სასკოლო საზოგადობასთან, რაც ბავშვებს უფრო ბედნიერს გახდის.

კვლევები ადასტურებს, რომ თუ მშობელი სრულფასოვნად არის ჩართული შვილის განათლების პროცესში:

- მოსწავლეს უკეთესი მიღწევები აქვს, წარმატებით ასრულებს სკოლას და სწავლის გაგრძელების მეტი შესაძლებლობა აქვს;
- მოსწავლე გამოირჩევა პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილია სკოლის მიმართ, აქვს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა;
- მშობლებისა და შვილების ურთიერთობები უმჯობესდება. ბავშვებს არ ეშინიათ იყვნენ გულახდილნი მშობლებთან, აქვთ მათი მხარდაჭერის იმედი. ხოლო მშობლები ხდებიან მეტად გამგები და ნაკლებად მკაცრი შვილების მიმართ;
- მშობელთან თანამშრომლობით მასწავლებელს უადვილდება ბავშვთან ურთიერთობა და ინდივიდუალური მიდგომის დამყარება;
- სკოლაში იზრდება აკადემიური ხარისხი და დასწრების მაჩვენებელი;
- მცირდება სწავლის მიტოვების მაჩვენებელი; ასევე, სკოლასა და ოჯახს შორის მოსალოდნელი გაუგეობრობების რისკი;
- სასკოლო კულტურა ხდება უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო. საზოგადოებაში იზრდება სკოლის იმიჯი.

სკოლაში მშობელთა აქტიურობას სარგებელი მოაქვს საზოგადოებისთვის, რადგან მშობლები მთავარ როლს თამაშობენ სკოლის ანგარიშვალდებულების ზრდაში. მათ შესაძლებლობა აქვთ იქცნენ გავლენის აგენტებად, როგორც არაფორმალური (დირექტორთან, სკოლის ლიდერებთან, სხვა მშობლებთან კომუნიკაცია), ისე ფორმალური გზებით (მშობელთა ასოციაციების შექმნა, მმართველ რგოლებში მონაწილეობა).

როგორ ესმოდათ უწინ „მშობელთა ჩართულობა“ საქართველოში?

მშობელთა ჩართულობის შესახებ საქართველოში ტრადიციული გაგება არსებობდა.

წლების განმავლობაში აქტიური მშობლის მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში იშვიათად სცდებოდა ბავშვის საქმიანობით უბრალო დაინტერესების ფაქტს ან კლასის დამრიგებლის გამოკითხვას მიმდინარე ნიშნების შესახებ. ამის გარდა, აქტიური მშობლის კიდევ ერთი ფუნქცია იყო თანხის შეგროვება, თუმცა ეს თანხა იშვიათად ხმარდებობა ბავშვების საჭიროებებს და უმეტესად მიმართული იყო სკოლის თანამშრომელთა მომადლიერებაზე.

უწინ აქტიური მშოგელი:

- **ყოველდღიურად დადიოდა სკოლაში და ხშირად კითხულობდა ბავშვის შესახებ ინფორმაციას.**
- **იშვიათად აძლევდა შვილს აზრის გამოთქმის შესაძლებლობას, არ უსმენდა ბავშვს და პირდაპირ ასრულებდა სკოლის თანამშრომელთა მითითებებს.**
- **ცდილობდა გაემართლებინა არა საკუთარი შვილის, არამედ მასწავლებლების და სკოლის დირექტორების მოლოდინი, მაშინაც კი, თუ ის ეწინააღმდეგებოდა პოზიტიური მშობლობის პრინციპებს.**

აქტიური მშობლების მიმართ სკოლის თანამშრომელთა მოლოდინებიც სწორედ ასეთი იყო. თუ მშობლის ჩართულობა სცდებოდა მასწავლებლის, დირექტორის მოლოდინს, უმეტესად მის მიმართ კეთილგანწყობა იკლებდა, არასასურველი გარემო იქმნებოდა და შესაძლოა „ინტრიგანი“ მშობლის იარლიყიც დაემსახურებინა.

აქტიური მშობლის ტრადიციული გაგება დღემდე ბევრ სკოლაშია შენარჩუნებული და გავლენას ახდენს თანამედროვე მშობლების სკოლისადმი დამოკიდებულებაზე.

როგორია მშობელთა ჩართულობა თანამედროვე გაგებით?

წარსულისგან განსხვავებით, დღესდღეობით, მშობლებს უამრავ რესურსზე მიუწვდებათ ხელი. ბევრი მშობელი სწავლობს პოზიტიურ მშობლობას, შვილთან კომუნიკაციას, ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებს, ქცევის მართვას; ისმენს ფსიქოლოგებისა და ცნობილი პედაგოგების ლექციებს აღზრდისა და პედაგოგიური მიდგომების შესახებ; კითხულობს, უყურებს და აკვირდება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას. დაინტერესებული მშობელი გარკვეულია საგანმანათლებლო მიდგომებში და მაღალი მოლოდინებით მიდის სკოლაში, რადგან იცის, რომ შვილის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია.

დღესდღეობით ფრაზა მშობელთა ჩართულობა გულისხმობს დედის/მამის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის უფრო ფართო გაგებას, ვიდრე ეს იყო წარსულში. სასკოლო ცხოვრებაში მონაწილე მშობელი ნიშნავს ბავშვზე მზრუნველ, საიმედო, კარგ მოქალაქე, თავისუფალ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის თავისი და სხვისი უფლებები და მოვალეობები. რამდენად მზრუნველი და აქტიურია მშობელი, განისაზღვრება იმით, თუ რას აკეთებს დედა/მამა ბავშვთა განვითარებისთვის სკოლაში თუ სკოლის მიღმა; რას აკეთებს იმისთვის, რომ მისმა შვილმა და სხვა ბავშვებმა მაქსიმალურად მიიღონ სკოლიდან ის, რაც მათ სჭირდებათ და ეკუთვნით.

რა უფლებებს ანიჭებს მოსწავლეთა მშობლებს კანონი?

დღეს მშობლების მონაწილეობა ბავშვის განათლებაში უფლებაცაა და მოვალეობაც და წახალისებულია საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კონსტიტუციით და ზოგადი განათლების შესახებ კანონით, მშობელს უფლება აქვს:

- მოისმინოს ინფორმაცია ბავშვის შესახებ და თავადაც დაუბრუნოს უკუკავშირი პედაგოგს.
- პირადად ჩაერთოს სხვადასხვა სასკოლო გამოწვევის გადაჭრის პროცესში;
- პირადად ჩაერთოს მისი შვილის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში;
- გახდეს ან აირჩიოს სამეურვეო საბჭოს წევრი და ამ გზით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში;
- ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში, ან დაგეგმოს და განახორციელოს განმავითარებელი აქტივობები სკოლის ტერიტორიაზე ან მის მიღმა;
- გახდეს მოხალისე მშობელი და დანერგოს არაფორმალური განათლების კომპონენტი სკოლაში;
- თავად შექმნას ან შეურთდეს მშობელთა ასოციაციებს;
- საჭიროების შემთხვევაში სკოლის თანამშრომლებს დაუსვას შეკითხვები სახელმძღვანელოს, სასწავლო მეთოდოლოგიის თუ პედაგოგიური მიდგომების შესახებ;
- მიიღოს მონაწილეობა კვლევებში და ასევე, საჯაროდ გამოხატოს მოსაზრებები მიმდინარე რეფორმის, განათლების სისტემის თუ სხვა აქტუალური საკითხის შესახებ.
- თავად დაიცვას და სკოლის თანამშრომლებისგანაც მოითხოვოს თავაზიანი მოპყრობა, ნეიტრალურობის დაცვა და არადისკრიმინაციულობა.
- საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის დახმარებისთვის მიმართოს სკოლის მიღმა არსებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. შეხვდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და უშუალო მონაწილეობა მიიღოს სკოლის უკეთესობისკენ შეცვლის პროცესში.

რა შეუწყობდა ხელს მშობელთა ჩართულობის თანამედროვე სისტემის დანერგვას?

მოსწავლეთა მშობლები უზარმაზარი და ამავე დროს, მრავალფეროვანი ჯგუფია. დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი ატარებს მოსწავლის მშობლის სტატუსს. იმისთვის, რომ „მშობელთა ჩართულობის“ ტრადიციული გაგება თანამედროვე მნიშვნელობამ ჩაანაცვლოს, აუცილებელია, საქართველოს სკოლებმა:

- **დაამსხვრიონ ძველი სტერეოტიპი და ოჯახი სკოლის საიმედო პარტნიორად მოიაზრონ;**
- **ხელი შეუწყონ აქტიურ მშობლებს, სკოლასა და სკოლის მიღმა იმუშაონ ბავშვების პრობლემების მოგვარებაზე;**
- **წაახალისონ მშობელთა დამოუკიდებელი კლუბების, საინიციატივო ჯგუფების დაფუძნება და/ან მშობელთა ასოციაციებში გაერთიანება;**
- **შეიმუშავონ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა და მშობლებთან თანაშრომლობის კალენდარი;**
- **თანაშექმნის პრინციპით განსაზღვრონ მშობლებთან თანამშრომლობის წესები და შექმნან მშობელთა პედაგოგიზაციის პროგრამები;**
- **ჩაატარონ სასკოლო ღონისძიებები, დისკუსიები, კონფერენციები, სადაც სხვადასხვა კლასის, სკოლის მშობლები ერთმანეთს გაიცნობენ, გაუზიარებენ გამოცდილებას, ცალკეულ საკითხებზე იმსჯელებენ, პრობლემას განიხილავენ, აქტივობას დაგეგმავენ, თანამოაზრეთა ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებს შექმნიან და მასწავლებლებთან ორგანიზებულად ითანაშრომლებენ.**

ყოველივე ეს მოსწავლეთა მშობლებს უბიძგებს, აირჩიონ აქტიური მშობლობის სტილი. აფიქრებინებს, რომ ისინი არ არიან მარტო, მათ მონაწილეობას აქვს აზრი, მოჰყვება ბავშვებისთვის სასურველი შედეგი. ხოლო სკოლას მშობლების განსხვავებულ ჯგუფებთან ურთიერთობას გაუმარტივებს და მზრუნველი, აქტიური მშობლების აღმოჩენაში დაეხმარება.

რა მოტივი ამოძრავებთ აქტიურ და მზრუნველ მშობლებს?

მიუხედავად ზოგიერთ სკოლაში არსებული აქტიურობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორებისა, მშობლების ნაწილს მაინც აქვს შინაგანი მოტივაცია, ჩაერთონ შვილის სასკოლო ცხოვრებაში, რადგან ამ პროცესით მათი და მათი შვილების ყოველდღიურობა იცვლება უკეთესობისკენ.

- **აქტიურმა და მზრუნველმა მშობლებმა იციან, რომ სკოლაში გატარებული 12 წელი იმდენად დიდ გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე, რომ ზრდასრულობაში კორექციების შეტანა შეუძლებელი ხდება. ამიტომ მოცდის დრო არ არის.**

- **აქტიური და მზრუნველი მშობლები არასოდეს ტოვებენ შვილს სისტემური პრობლემების წინაშე მარტო და მუდამ ცდილობენ შვილის მხარდაჭერას.**

- **აქტიურ და მზრუნველ მშობლებს აქვთ იდეები და ინიციატივები სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.**

- **ისინი მზად არიან არა მხოლოდ გააკრიტიკონ სკოლა, არამედ დაეხმარონ მას წინსვლაში.**

- **ისინი მზად არიან გამოყონ დრო აქტივობებში მონაწილეობისთვის, თუ სკოლა უზრუნველყოფს მათ წინასწარ ინფორმირებას.**

- **ისინი პატივს სცემენ სკოლას, როგორც ორგანიზაციას. მონაწილეობენ სასკოლო წესების შემუშავებაში და იცავენ ამ წესებს;**

- **სწორი კომუნიკაციის გზით გამოხატავენ საკუთარ გრძნობებს, განცდებს, მოთხოვნებს;**

- იცავენ სკოლაში ბავშვთა უფლებებს კანონიერი გზებით და სკოლის თანამშრომლებსაც მოუწოდებენ იმავე ქმედებისკენ.
- ყურადღებით ისმენენ სხვა მშობლების და სკოლის თანამშრომლების არგუმენტებს, აანალიზებენ და სხვებსაც უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს.
- ისინი მზად არიან გადაუხადონ სკოლას გულწრფელი მადლობა დამსახურებისთვის, თუმცა ეს არ უშლით ხელს, გააკრიტიკონ კიდეც სასკოლო სიტუაციები, როდესაც ის არ არის ბავშვზე ორიენტირებული .
- აქტიური და მზრუნველი მშობელი არ იღწვიან პერსონების წინააღმდეგ, ისინი ცდილობენ მათი შვილების გარემოს გაუმჯობესებას.

მზრუნველი და აქტიური მშობლები

**არ ელიან უმრავლესობის მხარდაჭერას.
ისინი მოქმედებენ დამოუკიდებლად.**

**ბავშვების ინტერესების დასაცავად აკეთებენ
იმდენს, რამდენიც შეუძლიათ.**

**და უამრავი წინაღობის მიუხედავად
მაინც აღწევენ საუკეთესო ცვლილებებს
თავიანთი და სხვისი შვილებისთვის.**



თავი 2.
მშობლების აქტიურობის წარმატებული მაგალითები

სკოლებში მავნე საკვებით ვაჭრობა აიკრძალა – მშობლების ძალისხმევით მიღწეული ეროვნული შედეგი

ამბის დასაწყისი – მშობლების გაერთიანება საერთო პრობლემის ირგვლივ

ეკა გიორგაძის და ციცი თუფურიძის ნამდვილი ამბავი

წლებია მიდის საუბარი სასკოლო კვების დანერგვაზე, თუმცა ამ დრომდე გაკვეთილებს უმეტესად მშიერი ბავშვები ესწრებიან. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვებას. ბავშვებს ან სახლიდან ვატანთ საკვებს ან სკოლის ბუფეტში უწევთ ყიდვა.

სამწუხაროდ, სხვა სკოლების მსგავსად, ჩვენთანაც ბუფეტი კერძო პირზეა გაქირავებული. წლების განმავლობაში ბუფეტის დახლებზე განლაგებული პროდუქტები ვერ აკმაყოფილებდა იმ სტანდარტებს და მოთხოვნებს, რაც არსებობს თანამედროვე გაიდლაინებით. მშობლებს ყოველთვის გვაწუხებდა, რომ ბუფეტში იყიდებოდა გაზიანი სასმელები, მდარე, საეჭვო ხარისხის ტკბილეული და ცომეული. არაერთხელ გამოგვითქვამს წუხილი ამ ფაქტის გამო.

ძნელია ბავშვს დაასწავლო ჯანსაღი კვების ჩვევები, როდესაც მისთვის სასკოლო გარემოში ასე ადვილად ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის მავნე საკვები. შეიძლება შენ არ გაატანო ბავშვს თანხა, მაგრამ ამით პრობლემა მაინც არ გვარდება.

ჩვენი სკოლიდან 4 მშობელი ჩავერთეთ მშობელთა ასოციაციის პროექტში „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში“. მიზნად დავისახეთ პროექტის ფარგლებში ერთი რომელიმე პრობლემური საკითხის გადაწყვეტა. ყველაზე აქტუალური ჩვენთვის მოსწავლეთა კვება იყო.

პროექტის ფარგლებში მშობლების საინიციატივო ჯგუფი შევიკრიბეთ, გვქონდა შეხვედრები, სადაც გამოიკვეთა არსებული პრობლემის დეტალები და მოგვარების მექანიზმები. დავისახეთ სამოქმედო გეგმა და შევუდექით მის განხორციელებას, თუმცა მოიჯარესთან მოლაპარაკება გეგმის მიხედვით ვერ განხორციელდა.

ამბის გაგრძელება – მშობლების მცდელობა სკოლაში გადაიჭრას პრობლემა

სონა კალანდაძის ნამდვილი ამბავი

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში 2 ჯერ გვქონდა შეხვედრა დირექციასთან, კვების საკითხთან დაკავშირებით, ნათელი გახდა რომ მათ არანაირი ბერკეტი არ გააჩნდათ რაიმეს შესაცვლელად. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში უკვე შევხვდით მოიჯარეს, რომელმაც ხაზგასმით გვითხრა – ყიდის იმ პროდუქციას, რომელიც კანონით არის დაშვებული და თუ რაიმე პრეტენზია გვაქვს უნდა მივმართოთ განათლების სამინისტროს. გასაგები გახდა, რომ სკოლის სივრცეში ეს პრობლემა ვერ მოგვარდებოდა.

ამ შეხვედრის დროს ყველას დასანახად გადავუღე ფოტოები ბუფეტში არსებულ „საკვებს“ და ჩემი გადაწყვეტილებით იმ დღესვე ფეისბუქის პირად გვერდზე გამოვაქვეყნე პოსტი ორ ფოტოსთან ერთად. მოვნიშნე ჯანდაცვის დამინისტრო, განათლების სამინისტრო და საქართველოს მთავრობა. პოსტში არ დამისახელებია სკოლა ან რომელიმე ადამიანი. (თუმცა რომც ყოფილიყო მონიშნული ამაშიც ვერ ვხედავ პრობლემას, რადგან ფოტოები ზუსტად აღწერს იმ პრობლემურ რეალობას, რაშიც

ჩვენს შვილებს უწევთ ყოფნა) მიუხედავად ამისა დიდი მღელვარება გამოიწვია სკოლაში ჩემმა პოსტმა. დირექციამ ეს რატომღაც პირად შეურაცხყოფად მიიღო, რასაც მოყვა სკოლაში ჩემი დაბარებები. მითხრეს, რომ სკოლას რეპუტაცია შევულახე. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მათ ჩემთან კომუნიკაციაც გაეწყვიტათ და საინიციატივო ჯგუფთანაც, რომელიც ვერანაირად ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი ჩემს ქმედებაზე.

საქართველოში ახალია მშობელთა ჩართულობა სკოლის სივრცეში და დირექციაც და პედაგოგების დიდი ნაწილიც მტკივნეულად იღებს ყველა ღიად გამოთქმულ კრიტიკულ აზრს მშობლისგან, დასაწყისშივე თავდაცვით პოზიციაში დგებიან იმის მაგივრად, რომ ყურადღებით მოგისმინონ და ერთიანი ძალებით მოხდეს ბავშვებისთვის უკეთესი გარემოს შექმნა.

როცა ცოტა მშობელი აფიქსირებს ღიად თავის მოსაზრებას სკოლაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, დირექციას უფრო უმარტივდება მათი მარგინალიზება. მიუხედავად ამისა, სასიკეთო ცვლილებები ნელა, მაგრამ მაინც ხდება. ეს კი უკვე სხვა მშობლისთვის არის მოტივაცია, რომ ხმის ამოღება უკეთესობისკენ შეცვლის მის მომავალს.

თბილისი, 25.10.2023 მოსწავლეთა მშობლები სასკოლო პრობლემებს, მათ შორის სასკოლო კვების საკითხს, განიხილავენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ერთად განათლების სამინისტროში. შეხვედრას ესწრებიან საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები თბილისიდან და რეგიონებიდან. შეხვედრიდან 1 თვის თავზე სკოლებში მავნე საკვებით ვაჭრობა აიკრძალა, ხოლო სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის საკითხი განათლების სამინისტროს დღის წესრიგში აქტიურად დადგა.

ამბის დასასრული – მშობლების გეგმიურ მოქმედებას წარმატებული შედეგი მთელი ქვეყნისთვის მოაქვს

მედეა ტურაშვილის ნამდვილი ამბავი

სკოლაში შეხვედრებისა და კომუნიკაციის შემდეგ, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ სკოლას არ გააჩნდა სამართლებრივი მექანიზმები ან სხვა ბერკეტები არსებული პრობლემის სკოლის დონეზე მოსაგვარებლად. სკოლის საინიციატივო ჯგუფთან განხილვის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ პრობლემისთვის უფრო სისტემურად შეგვეხედა და დავკავშირებოდით სხვა სკოლების მშობლებს, რომელთაც, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, ანალოგიური პრობლემები აწუხებდათ.

სხვა სკოლების მშობლებთან ურთიერთობა, იდეების გაზიარება და თანამშრომლობა ჩვენ უკვე დაწყებული გვქონდა ორგანიზაციის „მშობლები განათლებისთვის“ პროექტის ფარგლებში. ამ პროექტმა მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა გავცნობოდით საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სკოლების მშობლებს და მათ სკოლებში არსებულ მიღწევებს და პრობლემებს.

მშობლების ეს პლატფორმა აღმოჩნდა ის ადგილი სადაც დავიწყეთ კვებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ერთობლივი მსჯელობა. პირველ რიგში, გამოიკვეთა, რომ არაერთ სხვა სკოლაშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო და დავრწმუნდით, რომ სასკოლო კვებისა და ბუფეტების საკითხი ეროვნული დონის პრობლემა იყო, შესაბამისად ეროვნულ დონეზე საკითხის გააქტიურებას და მოქმედებას მოითხოვდა.

ამის შემდეგ, ჩავატარეთ მშობლების რამდენიმე შეხვედრა და შევჯერდით საერთო მოქმედების გეგმაზე. პირველ რიგში, გადავწყვიტეთ მოგვემზადებინა პეტიცია განათლების მინისტის სახელზე და დაგვეყენებინა ორი კონკრეტული მოთხოვნა: მოკლე ვადაში, სკოლის ბუფეტებში ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტების გაყიდვის აკრძალვა, და ასევე, სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის პროცესის დაჩქარება. ჩავთვალეთ, რომ მართალია ონლაინ პეტიცია განათლების სამინისტროსთვის შესასრულებლად სავალდებულო არ იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნებოდა ინფორმაციის გასავრცელებლად, სხვა მშობლებისთვის ხმის მისაწვდენად და საკითხის გასააქტიურებლად.

ეს ასეც მოხდა. ერთ თვეზე ნაკლებ დროში ონლაინ პეტიციას ხელი მოაწერა 10 ათასზე მეტმა ადამიანმა. ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ დახმარებით მშობლების მოთხოვნა გააშუქა არაერთმა მედია საშუალებამ და მშობლებს და ბავშვებს მოგვეცა შესაძლებლობა საჯაროდ გვესაუბრა არსებულ პრობლემებზე.

პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებას დაემთხვა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის სკოლის ბუფეტში ნაყიდი დონატებით 9 მოსწავლის მოწამვლის ფაქტი. ამით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენ მიერ დაყენებული პრობლემა უაღრესად მწვავე იყო და სამინისტროსგან მყისიერ რეაგირებას მოითხოვდა.

ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ დახმარებით ასევე შევძელით განათლების და მეცნიერების მინისტრთან და მის გუნდთან შეხვედრა. სხვა საკითხებთან ერთად, მინისტრს გავუზიარეთ ჩვენი წუხილი და მოთხოვნა სასკოლო კვებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე სამინისტროს მზაობა და თანხმობა შეხვედრისთანავე გამოიკვეთა. მინისტრმა გაგვიზიარა მისი ხედვები ბუფეტებში ჰიგიენური მდგომარეობისა და გასაყიდი პროდუქტების შესახებ და ასევე, მოისმინა ჩვენი რეკომენდაციები. შეხვედრის შემდგომ, მშობლებს შესაძლებლობა გვქონდა ჩვენი მოსაზრებები წარგვედგინა მინისტრის ბრძანების სამუშაო ვერსიაზე. საბოლოოდ, მინისტრის ბრძანება დამტკიცდა მშობლების მოსაზრებების გათვალისწინებით; მკაცრად განისაზღვრა, თუ რისი გაყიდვა იკრძალება სკოლის საკვებ ბლოკში, დარეგულირდა ბუფეტში ჰიგიენური პირობების დაცვის საკითხები და მშობლებს, მოსწავლეებს და მასწავლებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ ბუფეტების მონიტორინგი.

ეს მშობლების გამარჯვებაა – პირველი გამარჯვება ერთობლივი მუშაობის შემდეგ. ჩვენ გვწამს, რომ მშობლების აქტიურობას, ჩართულობას და გნებავთ, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და აუცილებლად მოიტანს შედეგს ჩვენი შვილების უკეთესი აწმყოსა და მომავლისთვის. ამ პროცესში გადამწყვეტი იყო მშობლების ჯგუფის თვითორგანიზება, ერთად დგომა და ერთად მუშაობა.

სამწუხაროდ, ჯერ ისევ გამოწვევად რჩება სასკოლო კვების პროგრამის არ არსებობა სკოლებში. მშობლების ეს მოთხოვნა რჩება ძალაში და ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით.

მშობლების ინიციატივით სკოლის დასუფთავებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი გაიზარდა

მარიამ საკანდელიძის ნამდვილი ამბავი

თბილისის საჯარო სკოლის ხუთი მოსწავლის დედა ვარ. აქტიურად ვადევნებ თვალყურს მათ სასკოლო ცხოვრებას, ამიტომაც ჩემთვის ცნობილია ის გამოწვევები და ხარვეზები, რის წინაშეც დგას დღეს მშობელიც, მოსწავლეც და სკოლაც. ხარვეზები მრავალრიცხოვანი და სისტემურია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს არ მალავენ და ყველასთვის თვალსაჩინოა, მშობლებს გვეძნელება მათი გახმოვანება სკოლის ადმინისტრაციასთან თუ პედაგოგებთან. იმის შიშით,

რომ ჩვენი „აქტიურობა“ არაადეკვატურად იქნება აღქმული და ისევ მოსწავლის საზიანოდ შეიცვლება მდგომარეობა, ვამჯობინებთ დუმილს და ვიწყებთ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზების ძებნას, რაც სარგებელთან ერთად, ზიანის მომტანიცაა როგორც ჩვენი შვილების ჯანმრთელობისთვის, ისე ჩვენი ბიუჯეტისთვის. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ვიზრუნოთ სკოლებში ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ჩვენს შვილებს ვურჩევთ არ ისარგებლონ სკოლის საპირფარეშოებით. ან იმის ნაცვლად, რომ საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა ჩვენს პრიორიტეტად ვაქციოთ, ვიწყებთ რეპეტიტორების ძებნას, ჩვენი ჯიბის დაცარიელებას და ჩვენი შვილების დროისა და ენერგიის ორმაგ ხარჯვას.

მინდა საკუთარი გამოცდილება გავუზიარო სხვა მშობლებს და ვუთხრა, რომ მშობლების ინიციატივა, აქტიურობა, ერთსულოვნება, ერთმანეთის მხარდაჭერა და თანადგომა, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა მნიშვნელოვანი პირობაა მოსწავლეების სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. მშობლების პოზიტიური ჩართულობა სტიმულის მომცემი აღმოჩნდა ჩვენი სკოლის ადმინისტრაციისთვისაც. მიხარია იმის აღნიშვნა, რომ ჩემი შვილების სკოლაში, მშობელთა საინიციატივო ჯგუფისა და სკოლის ადმინისტრაციის ერთობლივად გადადგმული პირველი ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა დამლაგებლების შრომის ანაზღაურება. ხელფასების ზრდის შედეგად გამარტივდა დამლაგებლის პოზიციაზე კადრების მოძიებაც, რასაც მოყვა მათი რაოდენობის ზრდა და საბოლოო ჯამში, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. კიდევ უფრო სასიხარულოა ჩემთვის ის ფაქტი, რომ დღეს მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია ვართ ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთმხარდაჭერის ეტაპზე და პირველი წარმატების შემდეგ, ჩვენი გუნდი გაზრდილი ენთუზიაზმით იწყებს მუშაობას ამჯერად უკვე სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.

ბავშვებისა და მშობლების მოთხოვნით სკოლასთან შუქნიშანი დამონტაჟდა

ხატია მიმინოშვილის ნამდვილი ამბავი

4 შვილის დედა ვარ. შვილების სასკოლო ცხოვრებაში მათი სკოლაში მიყვანის დღიდან ვმონაწილეობ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოებაა, როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ.

წლებია მაწუხებს, რომ სკოლამდე მისასვლელი გზები არ არის უსაფრთხო. ჩემი შვილების სკოლასთან არაერთი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა და რამდენიმე ბავშვი დაშავდა. საქართველოში სკოლების უმეტესობა გზასთან ახლოს მდებარეობს. მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილებისთვის საჭიროა არსებობდეს ტროტუარი, ზებრა გადასასვლელი, შუქნიშანი და სხვადასხვა გაფრთხილების შემცველი საგზაო ნიშნები. სასკოლო ზონები უნდა იყოს გამოყოფილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლის წინა სივრცეს მანქანები იკავებენ, რის შედეგადაც იქ მცირეწლოვანი ბავშვის მარტო გადაადგილება საშიშია.

დავიწყე გამოსავალზე ფიქრი – სკოლასთან შუქნიშნის დამონტაჟების მოთხოვნით წერილების წერა თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურში. წლები გაიწელა ეს პროცესი. აღმოჩნდა რომ მარტო ვიყავი, არ მყავდა თანამოაზრეები. ამის მიუხედავად არ ვჩერდებოდი და ვაგრძელებდი სვლას მიზნისკენ. რა უფლება მქონდა გავჩერებულიყავი, როცა ჩემი შვილები და მათი მეგობრები ყოველ დღე კვეთდნენ სიცოცხლისთვის საშიშ სამანქანე გზას.

თბილისი 1.06.2023 ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს მოსწავლეები და მათი მშობლები აწყობენ აქცია პერფორმანსს სკოლასთან მისასვლელი გზების უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების მოთხოვნით. აქციის შემდეგ სკოლასთან ოპერატიულად დამონტაჟდა შუქნიშანი და დაიწყო სასკოლო ზონების შექმნაზე მუშაობა.

ნელ-ნელა გულშემატკივრები და თანამოაზრეეებიც შევიძინე, ერთ-ერთი ასეთი კი ორგანიზაცია "მშობლები განათლებისთვის"აღმოჩნდა, რომელიც შემთხვევით აღმოვაჩინე და მივხვდი რომ მათთან ერთად ბევრი სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას მოვახერხებდი.

მონაწილეობა მივიღე პროექტში „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში", რომლის ფარგლებშიც ჩვენ სკოლაში ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები მშობელთა ჩართულობის შესახებ. აქ გავიცანი სხვა მშობლები და აღმოვაჩინე, რომ სულაც არ ვყოფილვარ მარტო.

მეტიც, ტრენინგზე გამიჩნდა იდეა, რომ 1 ივნისს, ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს, სკოლის მიმდებარედ მოგვეწყო აქცია პერფორმანსი მშობლებისა და ბაშვების მონაწილეობით და მოგვეთხოვა შუქნიშნის დამონტაჟება.

ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ თანამოაზრე მშობლები გავერთიანდით. სასიხარულო ისიც გვქონდა, რომ აქციაზე ჩვენი სკოლის მოსწავლეების და მათი მშობლების გარდა შემოგვიერთდნენ სხვა სკოლების მოსწავლეთა მშობლებიც, რომლებიც ორგანიზაციის დახმარებით გავიცანი. ხმა მივაწვდინეთ საგზაო უსაფრთხოების თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიასაც.

ჩვენმა აქციამ შთამბეჭდავად ჩაიარა. რამდენიმე ტელევიზიამ და ციფრულმა მედია სააგენტომ გააშუქა ჩვენი ამბავი. მშობლებმა მივეცით ინტერვიუები. სწორად დაგეგმილ აქტიურობას შედეგიც მყისიერად მოყვა. ძალიან მალე სკოლასთან ღილაკიანი შუქნიშანი დამონტაჟდა და შედარებით უსაფრთხო გახდა გადასასვლელი.

უამრავი საკითხია, რაშიც ჩვენ, მშობლებს შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ სკოლას თითოეული მოსწავლის საკეთილდღეოდ. უამრავი პრობლემის მოგვარებაა შესაძლებელი თანმიმდევრული, პოზიტიური, დროული და სწორი ნაბიჯებით. მოსწავლე-სკოლა-მშობელი, ეს უნდა იყოს უწყვეტი სამკუთხედი, რაც დადებითად აისახება მოსწავლის როგორც აკადემიურ შედეგებზე, ისე მის უსაფრთხოებაზე და მოქალაქეობრივ ზრდაზე.

თამარ ფირცხალაიშვილის და ქეთევან ნახუცრიშვილის ნამდვილი ამბავი

სასკოლო პროცესებში მონაწილეობისკენ იმ პრობლემებმა გვიბიძგა, რაც სკოლებშია. ჩავთვალეთ, რომ ბავშვების კეთილდღეობისთვის საჭირო იყო მშობლების აქტიური ჩართულობა. თავდაპირველად თითოეული ჩვენგანი მარტო იყო, განიცდიდა თანამოაზრეების ნაკლებობას. ეგონა, რომ მხოლოდ მას აწუხებდა ესა თუ ის გამოწვევა.

თანამოაზრეებმა ერთმანეთი აღმოვაჩინეთ მას შემდეგ, რაც დაიწყო პროექტი „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში“. პირველი ჩვენი ერთად გადადგმული ნაბიჯი აქცია-პერფომანსი იყო,საგზაო პრობლემასთან დაკავშირებით. ამ პრობლემამ გაგვაერთიანა და დაგვანახა, რომ აზრის გამოხატვას და ჩვენი პოზიციის დაფიქსირებას, ყოველთვის აქვს აზრი. მშობლებს ერთადერთი მოტივი გვაქვს – შევქმნათ ყველა ბავშვისთვის უსაფრთხო გარემო სკოლაში,რაც მათ ყოველდღიურობას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს.

თბილისი 1.06.2023 დაწყებითი კლასის მოსწავლე საგზაო ნიშნის გამოყენებით ცდილობს გააჩეროს მანქანები, რათა უსაფრთხოდ გადაკვეთოს ქვეითთა გადასასვლელი სკოლასთან მდებარე გზაზე.

წიგნიერების კლუბი – მშობელთა მოხალისეობა თელავის სკოლაში

მშობლების ნამდვილი ამბავი

ნინო
ბალუაშვილი

მარიამ
გაგანაშვილი

ია
იარდალაშვილი



თეა
ოთარაშვილი

ტატა
კუტალაძე

მაკა
ტოკლიკიშვილი

ლორა
შუბითიძე

დღესდღეობით ბავშვთა წიგნიერების კუთხით არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. Covid 19-ის შემდეგ პრობლემა კიდევ უფრო გაღრმავდა. მშობლები ვხედავთ, რომ ე.წ. გაჯეტებმა ჩაანაცვლა მხატვრული ლიტერატურის კითხვა.

ეს საკითხი ჩვენი სკოლის (სსიპ ქალაქ თელავის მე-4 საჯარო სკოლა) „მშობელთა კლუბში“ განვიხილეთ და გადავწყვიტეთ, შეგვექმნა „წიგნის კლუბი“, რომელიც გაამრავალფეროვნებდა სასკოლო ყოველდღიურობას და ჩვენი აქტიური მონაწილეობით შევძლებდით მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას. მიზნად დავისახეთ, ხელი შეგვეწყო წიგნის კითხვის პოპულარიზაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის.

დავწერეთ კონცეფცია, სადაც მკაფიოდ გავწერეთ ჩვენი მიზანი, ამოცანები და განხორციელების გზები. წარვადგინეთ სკოლაში და მივიღეთ დირექტორის მხარდაჭერა.

თელავი 11.11.2023 წიგნის კლუბის ფარგლებში მშობელი, ნინო ბალუაშვილი მე-2 კლასელებს ხვდება, სადაც განიხილავენ საბავშო მწერლობას და ილუსტრაციების მიხედვით მოთხრობის წერის შესაძლებლობას.

ჩვენი გეგმა შემდეგია:

- სკოლის ბიბლიოთეკის გამდიდრება;
- მოსწავლეთა გაწევრიანება წიგნის კითხვის კლუბში;
- წიგნის არჩევაში დახმარება/ შესაბამისი კონსულტაციები;
- წიგნის წაკითხვის შემდეგ მსჯელობა/აზრების გაცვლა წაკითხული წიგნის გარშემო;
- აქტივობების დაგეგმვა, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნის კითხვის პოპულარიზაციას.

ამ იდეისთვის თავდაპირველად გავერთიანდით თანამოაზრე მშობლები, კლუბის ყველა წევრს მივაწვდინეთ ხმა, რომ შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ წიგნიერების პროექტში და ჩაეტარებინათ სახალისო გაკვეთილები ბავშვებისთვის. ასე დაიბადა პროექტზე მიბმული მოხალისეობის იდეაც. თითოეულ მსურველს ზუსტად იმდენი პასუხისმგებლობის აღება შეეძლო, რამდენსაც შეძლებდა. ლიტერატურის გაკვეთილებისთვის კლასის საათების გამოყენება დავიწყეთ. ამის შემდეგ, გაჩნდა იდეა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების წიგნიერების პროექტში ჩართულობის შესახებ. მშობლებისა და მასწავლებლების ძალთა გაერთიანებით, მიზნის მიღწევა უფრო ადვილია.

პროექტში მონაწილეობა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა და ამავდროულად, ძალიან საპასუხისმგებლოც. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა მასწავლებლებისა და მოსწავლეების წინაშე და რა თქმა უნდა, დირექციის წინაშე, რომელმაც ნდობა გამოგვიცხადა და მხარში დაგვიდგა. რადგანაც ვთვლით, რომ მისაღწევი შედეგი ძალიან ღირებული იქნება, ვაპირებთ, პროექტში ჩართული მშობელთა, მასწავლებელთა და კლასთა რიცხვი გავზადროთ და ჩვენი საქმიანობა გავაფართოვოთ.

ბავშვები ძალიან ბედნიერები არიან მშობელთა ჩართულობით. ხშირად გვეკითხებიან, როდის არის დაგეგმილი შემდეგი შეხვედრა მათ კლასში. როგორც ჩანს, „დედა-მასწავლებლის“ იდეა ძალიან ხიბლავთ. დედა-მასწავლებლის, რომელიც გარკვეული პერიოდულობით სახალისო და საგანმანათლებლო შეხვედრებს გეგმავს.

სიამოვნებით გავუზიარებთ ჩვენს გეგმას სხვა სკოლების მშობლებს, იმ იმედით, რომ ისინიც ჩაერთვებიან შვილების სასკოლო ცხოვრებაში.

თელავი 11.11.2023 თელავის მე-4 სკოლის მე-2 კლასელი მოსწავლეები მონაწილეობენ წიგნის კლუბის ფარგლებში მშობლების მიერ დაგეგმილ აქტივობაში.

წიგნის კლუბის სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა მოიცავს იმ აქტივობებსა და ღონისძიებებს, რომელიც დაგეგმილია სასწავლო წლის განმავლობაში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს რომ, ზოგიერთი აქტივობა პირდაპირ ორიენტირებულია პროექტის მიზნისა და ამოცანების შესრულებაზე, ზოგიერთი მათგანი კი მიზნად ისახავს მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლას წიგნებითა და კითხვით დაინტერესების გაზრდისთვის.

- შეჯიბრი წიგნის კლუბის სახელის შერჩევაში- ყველა კლასის მოსწავლის ჩართვა – ამ აქტივობით იწყება პროექტი – ხანგრძლივობა 1 კვირა.

- მაკულატურის ჩაბარება და მისი გადაცვლა ახალ წიგნებში (თუ რომელიმე გამომცემლობა ჩამოვა თელავში და წაიღებს)

- „აჩუქე წიგნი შენს სკოლას“ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქციაა. აქციის ფარგლებში, მოსწავლეები შემოთავაზებული სერიიდან ირჩევენ წიგნებს. შეიძენენ, ან ითხოვებენ ბიბლიოთეკიდან თუ ნაცნობ-მეგობრებისგან და კითხულობენ. წაკითხვის და დისკუსიის ჩატარების შემდგომ, წიგნს ჩუქნიან სკოლას (საკუთარი წიგნის შემთხვევაში). წიგნის გაჩუქება მათთვისაც ძალიან სასარგებლოა, რადგან მათ შეუძლიათ შემდგომი წიგნის არჩევისას ისარგებლონ თავიანთი თანაკლასელის ან თანასკოლელის მიერ სკოლისთვის ნაჩუქარი წიგნით.

- პერიოდული შეხვედრების დროს შეხვედრის ორგანიზატორი წარმართავს წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს წაკითხული თავების ირგვლივ. ბავშვები უზიარებენ ერთმანეთს წაკითხულს. ხდება პერსონაჟთა საქციელის შეფასებები და მსჯელობა, ასევე გამოითქმება ვარაუდები, როგორ განვითარდება მოვლენები წიგნში.

- როდესაც ერთ-ერთი ბავშვი/ან ჯგუფი დაასრულებს წიგნის წაკითხვას, სასურველია წიგნი წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. სხვები უსვამენ კითხვებს ამ წიგნის გარშემო, წარიმართება მსჯელობა.

- რომელიმე რეზონანსულ თემაზე დაწერილი წიგნის ეკრანიზაციის ყურებაზე გაიცემა რეკომენდაციები. შემდეგ შეხვედრაზე მოხდება მსჯელობა წიგნისა და მისი ეკრანიზაციის ირგვლივ.

- ბიბლიოთერაპია – რაიმე კონკრეტული პრობლემის გარშემო შესაბამისი წიგნის მოძიება, მოსწავლეებისთვის წაკითხვა ხმამაღლა კითხვის ტექნიკით და მასზე მსჯელობა.

- სხვა მცირე აქტივობების დაგეგმვა, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნის კლუბის ნაყოფიერ მუშაობას და მკითხველს კითხვის მიმართ დადებითად განაწყობს. მაგ: წიგნის თემატიკის შესაბამისი ორცხობილების ცხობა/მომზადება, პლაკატების დამზადება, წაკითხული წიგნის შესაბამისი ნახატის შექმნა, კრეატიული წერა, პატარა თეატრალური დადგმა, როლური თამაშები და ა.შ.

- გამოწვევის მოფიქრება და წიგნის კლუბის წევრების წახალისება მასში მონაწილეობის მისაღებად.

- მწერლის მოწვევა

- შემოწირულობების არსებობის შემთხვევაში მაქსიმალურად კომფორტული გარემოს მოწყობა (დერეფნებში)

- წიგნების გაყიდვა და მათი ჩანაცვლება ახალი წიგნით (ან შესაძლოა თანხა გამოყენებულ იქნას ღონისძიებებისთვის/გარემოს მოწყობისთვის). ამასობაში სკოლას დაუგროვდებოდა რამდენიმე ერთიდაიგივე წიგნი, რომელიც სურს რომ ჩაანაცვლოს იმ წიგნით, რომელიც არ აქვს – ე.წ. „წიგნის ბაზრობის“ ორგანიზება.

- მსოფლიო წიგნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზედაც სასურველია (თუმცა არა სავალდებულო) მოსწავლეები მოვიდნენ წიგნის პერსონაჟების ფორმით. დაიგეგმოს სახალისო აქტივობები. შესაძლებელია მოვიწვიოთ მწერალიც, რომელიც უფრო შემეცნებითს გახდის ჩვენს შეხვედრას, თუმცა გვსურს, რომ შეხვედრა არ იყოს მონოლოგის რეჟიმში და იყოს ინტერაქციური.

თელავი, 11.12.2023 წიგნის კლუბის ფარგლებში მშობელი, თეა ოთარაშვილი მე-4 კლასელ მოსწავლეებს უკითხავს საბავშვო მოთხრობას.

ამჟამად წიგნიერების პროექტში ჩართულია დაწყებითი საფეხურის კლასები, თუმცა სურვილი გვაქვს ჩავრთათ საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებიც. ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. მზად გვაქვს დეტალური სამოქმედო გეგმა ამ საფეხურების მოსწავლეთა ჩართულობისთვის.

ჩვენი სკოლის მშობლებს გვჯერა, რომ პროექტის დასრულების შემდეგ სკოლის ბიბლიოთეკა იქნება გაცილებით მრავალფეროვანი და მდიდარი. სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა მეტად დაინტერესებული იქნება კითხვით, რაც თავის მხრივ, უდაოდ, სასიკეთოდ იმოქმედებს მათი კრეატიკული და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე.

ჩვენი მიზნების ბოლომდე მისაყვანად მშობლებს დაგვჭირდება მხარდაჭერაც.

მეტი კლასის ჩართულობისა და ჩვენი მიზნის მისაღწევად გვჭირდება სივრცე (ოთახი/შენობა), სადაც პროექტში ჩართული მშობლები შევიკრიბებით, გავუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას, იდეებს, ავარჩევთ რესურსებს და დავგეგმავთ ლიტერატურის გაკვეთილებს. სკოლას ასეთი სივრცე, სამწუხაროდ, არ გააჩნია, ამიტომ სასურველი იქნებოდა ასეთი სივრცე სკოლის სიახლოვეს. დაინტერესებული მოსწავლეების მოწვევასა და ლიტერატურასთან/კითხვასთან დაკავშირებულ აქტივობების/ შეხვედრების დაგეგმვასაც მოვიაზრებთ ამ სივრცეში.

სასწავლო რესურსები (წიგნები), კომპიუტერი, პრინტერი, მონიტორი, მაგიდა/სკამები და წიგნების თაროები/კარადა აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის გასაგრძელებლად და გასაფართოვებლად. ხშირ შემთხვევაში გვიწევს ვესტუმროთ ბიბლიოთეკებსა თუ წიგნის მაღაზიებს, იმისათვის, რომ სასურველი მასალა შევარჩიოთ. წიგნების არსებობა ჩვენს სივრცეში კი ჩვენს დროსაც დაზოგავდა და თანხებსაც. კომპიუტერი და პრინტერი მნიშვნელოვნად გააადვილებდა ჩვენს საქმეს, რადგან რესურსებისა და სქემების დაბეჭდვა ხშირად გვიწევს ლიტერატურული შეხვედრებისთვის. რაც შეეხება მონიტორს, ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ვიდეო მასალას, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფილმების ეკრანიზაციის ყურება. დაინტერესებულ ახალგაზრდებს ჩვენს სივრცეში მოვიწვევდით ამ მიზნით.

გარკვეული ბიუჯეტის არსებობა და/ან შემოწირულობები მნიშვნელოვნად გადაჭრიდა პროექტის ფინანსურ გამოწვევას. ლიტერატურული შეხვედრა/გაკვეთილებისთვის ვიყენებთ თვალსაჩინოებებს, რომლის დამზადება/ყიდვისთვის საჭირო მასალას ჯერჯერობით ჩვენი პირადი ხარჯით ვუძღვებით. თუ გვექნება ჩვენი სივრცე შესაბამისი ინვენტარით, ჩვენ ვითანამშრომლებთ სხვა სკოლებთანაც, რომ აღნიშნული სიკეთე მათთმა მოსწავლეებმაც მიიღონ. ასევე მოვიძიებთ მოხალისე მშობლებს სხვა სკოლებიდანაც, რომლებსაც სურთ, რომ წვლილი შეიტანონ უფრო წიგნიერი საზოგადოების ფორმირებაში.

ახალციხის სკოლაში მშობლები ჭადრაკის გარე დაფის მოსაწყობად თანხას აგროვებენ

ავტორი: მშობელი, შორენა გიგოლაშვილი

მე ახალციხიდან ვარ. აქ ვცხოვრობ და შვილსაც აქ ვზრდი. ჩემთვის, როგორც მოსწავლის მშობლისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს ბავშვების სასკოლო ცხოვრება.

ყოველთვის მაწუხებდა, რომ დედაქალაქისგან განსხვავებით რეგიონში მცხოვრები ბავშვები არ არიან განებივრებული შემეცნებითი წრეების მრავალფეროვნებით. ახალციხეში არაფორმალური გა-

ნათლების მიღების ბევრად ნაკლები შესაძლებლობაა. არც სასკოლო და არც სკოლის მიღმა ინფრასტრუქტურა ბავშვებს საშუალებას არ აძლევს გაკვეთილების შემდეგ დრო შინაარსიანად გაატარონ.

რადგან ჩვენს ქალაქში ჭადრაკი ძალიან პოპულარულია, ვიფიქრე, კარგი იქნება, ჩემი შვილის სკოლის ეზოში ჭადრაკის გარე დაფას თუ მოვაწყობდით. ბავშვები ეზოში დაკავდებოდნენ მათი საყვარელი სპორტით და დროს შინაარსიანად გაატარებდნენ. დაწყებით კლასებში ჭადრაკი ისწავლება კიდეც და გარე დაფა დამატებითი თვალსაჩინოება იქნება.

მთავარი პრობლემა ფინანსების მოძიება იყო. ამიტომ გავიარე ტრენინგი „როგორ მოვიძიოთ ფინანსები სასკოლო საჭიროებებისთვის“, სადაც პირველად გავიგე სახალხო დაფინანსების შესახებ.

მივმართე პლატფორმას „ორბელიანი მეტი“, კიდევ უფრო მეტი გავიგე, როგორ ვაწარმოო კამპანია თანხის მოსაზიდად და შევუდექი ამ საქმეს.

ე.წ. „ქრაუდფანდინდი“ ადვილი არ აღმოჩნდა, რადგან სიახლეა და ჩემს რეგიონში მცხვორებ ადამიანებს უჭირთ გაიგო მისი არსი. 1 ადამიანისგან გადმორიცხული 1 ლარიც საკმარია ხოლმე დადებითი ცვლილებებისთვის. როდესაც მშობლები არა მხოლოდ ვსაუბრობთ, არამედ რეალურადაც ვირჯებით ჩვენი შვილების განვითარებისთვის, ბევრი ადამიანი გამოხატავს ჩვენს გვერდში დგომას. ასე შევაგროვე 2400 ლარი. დანარჩენ დაფინანსებას „ორბელიანი მეტი“ დაფარავს და სულ მალე, ახალციხეში პირველად, I საჯარო სკოლაში გავაკეთებთ ჭადრაკის დაფას.

მჯერა, სკოლის ეზოში ჭადრაკის დაფის მონტაჟი ჩემს შვილს და მის თანატოლებს ძალიან გაახარებთ. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს გახდის სკოლებს შორის მოეწყოს შეჯიბრებები, რაც დამატებით შეუწყობს ხელს ჭადრაკის პოპულარიზაციას და სკოლებს შორის თანამშრომლობა-დამეგობრების გაძლიერებას.

თავი 3.
რეკომენდაციები მშობლებს

როგორ მოვიზიდოთ ფინანსები სასკოლო საჭიროებებისთვის

ავტორი: მარიამ მჭედლიშვილი, პროექტის „ჩართე“ ხელმძღვანელი

სკოლაში ფულის შეგროვების პრაქტიკა საქართველოში

თუ თქვენი შვილი სკოლაში სწავლობს, არ აქვს მნიშვნელობა კერძოა თუ საჯარო, აუცილებლად, ერთხელ მაინც, იქნებოდით ფულის შეგროვების პროცესში ჩართული ან შეიძლება თქვენი მეგობრისგან გსმენიათ არც თუ ისე კარგი გამოცდილებების შესახებ.

ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენს გარშემო ბევრი რამ იცვლება და ვითარდება, თუმცა რაღაცები დაუწერელი კანონებივით მოგვყვება და ალბათ, სკოლაში ფულის შეგროვებაც მსგავსი ამბავია. ამასთან დაკავშირებით მუდმივად გვესმის მსჯელობა – უნდა აგროვებდნენ თუ არა მშობლები ფულს, რისთვის შეიძლება ავაგროვოთ და რისთვის არა.

საზოგადოებაში და განსაკუთრებით მშობლებში ხშირად რადიკალურად განსხვავებული პოზიციები გვხდება. ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნებისმიერ საჭიროებაზე თანხის შეგროვებას, ნაწილი კი თავს ვალდებულად თვლის, რომ ყოველ ჯერზე დადოს თანხა, მიუხედავად მისი სურვილის ან ფინანსური შესაძლებლობისა. უნდა ითქვას, რომ მეორე შემთხვევაში, ამას შეიძლება შიში განაპირობებდეს („რომ არ დავდო ფული, ძუნწი არ ვეგონო“; „ჩემს შვილს დისკომფორტი არ შეექმნას“ და მსგავსი ფიქრები.) ასევე არგუმენტის სახით გვხვდება ხოლმე: „ასეთი წესია“ ან „ყველგან ასე ხდება“.

როგორც სხვა ყველაფერში, რადიკალური დამოკიდებულება და ცალსახად იმის თქმა, თანხას უნდა ვაგროვებდეთ თუ არა, სწორი არ იქნება. როდესაც სკოლაში ფულის შეგროვებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანხის შეგროვების მიზნები მუდმივად განსხვავდება ერთმანეთისგან. დღეს საქართველოში არსებულ ქალაქისა თუ სოფლის სკოლაში, საკმაოდ ბევრი საბაზისო საჭიროება

არ არის დაკმაყოფილებული და შეუძლებელია, რაიმე ერთი წესით ვიმოქმედოთ. ამ დროს, უპირველესად აუცილებელია, **მშობლებმა სწორად შეაფასონ კონკრეტული საჭიროებები და შემდგომ იფიქრონ საკუთარ როლსა და ჩართულობაზე.**

ამ თემაზე საუბრისას ნათლად იკვეთება მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა სასკოლო აქტივობებში. აქ შეიძლება ვინმე შეგვედაოს და თქვას, რომ დღეს მშობელს არ აქვს იმდენი დრო, აქტიურად იყოს ამ პროცესებში ჩართული. თუმცა თუ დავუფიქრდებით, რომ მოსწავლე სკოლაში ატარებს მისი ცხოვრების საკმაოდ დიდ პერიოდს და განათლების მიღების გარდა, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ქცევები, რაც შემდგომში მის ქმედებებსა თუ მოქალაქეობრივ პოზიციებს განაპირობებს, მივხვდებით, რომ მშობლის მონაწილეობა აუცილებელია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ფულის შეგროვების საკითხი და არსებული პრაქტიკა ხშირად ხდება მშობლებს შორის, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის უთანხმოების მიზეზი. ერთი შეხედვით კარგი საქმისთვის დაწყებული პროცესი შეიძლება გრძელვადიანი დაძაბულობის მიზეზიც გახდეს, რაც მშობლების გარდა, მოსწავლეების განწყობაზეც აისახება.

შეიძლება გიფიქრიათ, რატომ ხდება ასე? იქნებ არასწორ ფორმას ვირჩევთ ან არასწორ დროს? და საერთოდ, სხვა ქვეყნებში როგორ ხდება?

სკოლაში ფულის შეგროვება და მშობლების ჩართულობა ამ პროცესში, არა ერთი ქვეყნის პრაქტიკაა, მათ შორის ისეთი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაც კი, როგორიც არის ამერიკა, დიდი ბრიტანეთი თუ ევროპის ქვეყნები. არსებობს სკოლაში შექმნილი ფონდები, რომლებიც სკოლების სხვადასხვა საჭიროებას აფინანსებენ. თუმცა, ამ ფონდებში თანხების მობილიზება განსხვავებულად ხდება. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი საქართველოში არსებულ პრაქტიკასა და სხვა ქვეყნების მაგალითებს შორის არის ნებაყოფლობითობა. თანამედროვე მეთოდები დემოკრატიულია და მაქსიმალურად ითვალისწინებს მშობლების ინდივიდუალურ შეხედულებებს, ნებას და ფინანსურ შესაძლებლობებს.

თუ გადავხედავთ ჩვენს გამოცდილებას, ვნახავთ, რომ სკოლებში მშობლებს ფული შეუგროვებიათ არაერთი საჭიროებისთვის, დაწყებული ჰიგიენური საშუალებებიდან, სკოლის და საკლასო ოთახების შიდა თუ გარე სივრცის მოწყობა და არ უნდა დაგვავიწყდეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზანი: საჩუქრები მასწავლებლებისა თუ ადმინისტრაციისთვის. ამ უკანასკნელისთვის შეიძლება წლის განმავლობაში რამდენჯერმეც კი აგროვდეს თანხა და იმ შემთხვევაში თუ ვინმე უარს იტყვის, ეს შემდგომში განხილვის საგანი ხდება. სწორედ ასეთ შემთხვევებში ვლინდება არსებული მეთოდების მანკიერება. თუ ვინმეს სურს, თუნდაც წელიწადში რამდენჯერმე, გაიღოს საჩუქრის თანხა, ეს მისი ნებაა და ვერავინ შეუშლის ხელს, თუმცა, ეს **პროცესი არ უნდა იყოს სხვებისთვის იძულებითი და დაწესებული ლიმიტიებით.**

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საკმაოდ ბევრი მეთოდი არსებობს, რაც შეიძლება მშობლებს გამოადგეთ, რომ არსებული მანკიერი პრაქტიკა ჩაანაცვლონ. დამკვიდრებული წესების ერთიანად ცვლილება ნამდვილად არ იქნება მარტივი, თუმცა აუცილებელია რაღაც ეტაპზე ეს ჯაჭვი გაწყდეს. სხვა შემთხვევაში სკოლაში ფულის შეგროვების საკითხი კვლავ იქნება დისკომფორტის მიზეზი და შესაძლოა ამ უარყოფითმა გამოცდილებამ გავლენა იქონიოს მშობლების მოტივაციაზე, ჩაერთონ რეალური პრობლემების იდენტიფიცირებასა და მოგვარებაში.

სასკოლო საჭიროებები და დაფინანსების ალტერნატიული გზები

პირველ რიგში, მშობლებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია თუ რამდენს შეადგენს მათი **სკოლის ბიუჯეტი** და რა საჭიროებების დაფინანსება არის შესაძლებელი ამ თანხით. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები სკოლის ისეთი საჭიროებების დაფინანსებას იღებენ საკუთარ თავზე, რაც შესაძლებელია სკოლისთვის გამოყოფილი ბიუჯეტში გაიწეროს, თუნდაც გრძელვადიან პერიოდში ან გამგეობასა თუ მერიაში შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოგვარდეს. ეს არ არის მარტივი გზა, შესაძლოა დიდი დრო და ბევრი გადამისამართების თუ ბიუ-

როკრატიის გავლა მოგვიწიოს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტსაც ჩვენ, მოქალაქეები ვაფინანსებთ ჩვენი გადასახადებით და საჭიროებისამებრ უნდა გაიხარჯოს.

მას შემდეგ რაც ამ გზით არსებულ რესურსებს ამოწურავთ, შესაძლებელია საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგმ დაგეგმოთ თანხის შეგროვების კამპანია ან შექმნათ ფონდები.

ერთ-ერთი ეფექტური პრაქტიკაა, სკოლებში ფონდების და მათ შორის ,,ALUMNI''-ის ფონდის შექმნა. სადაც მოსწავლეთა მშობლებს თუ სკოლის კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ სკოლის კეთილმოწყობასა თუ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად ერთი ოჯახის რამდენიმე წარმომადგენელი სწავლობს ერთსა და იმავე სკოლაში, ამ ოჯახებისთვის თუ კურდამთავრებულებისთვის მნიშვნელოვანია მათ ოჯახის წევრებს ჰქონდეთ ჯანსაღი გარემო.

დღეს თანხების მობილიზების საკმაოდ გავრცელებული მეთოდია, **ქრაუდფანდინგი,** რომელსაც **სახალხო დაფინანსების** სახელითაც ვიცნობთ. უფრო და უფრო ხშირად ხდება სხვადასხვა საჭიროებებისათვის თანხების შეგროვება სწორედ ამ მეთოდით, როდესაც კონკრეტული იდეის გარშემო თანამოაზრეები ერთიანდებიან და სასურველი ან დაწესებული თანხით აფინანსებენ ინიციატივებს. მთავარი იდეა სწორედ იმაშია, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ნებაყოფლობითი ჩართულობითა და ძალისხმევით საერთო პროექტები განხორციელდეს ან პრობლემები გადაიჭრას.

ქრაუდფანდინგის რამდენიმე სახე არსებობს, თუმცა სასკოლო საჭიროებების დაფინანსებისათვის ყველაზე ეფექტური იქნება დონაციაზე (შემოწირულობაზე) და ზოგ შემთხვევაში, ჯილდოზე დაფუძნებული ქრაუდფანდინგი.

პირველ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ დააორგანიზოთ თანხის შეგროვების კამპანია როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ სივრცეში. მთავარია, საჭიროება და **თანხის შეგროვების მიზანი მკაფიოდ გქონდეთ ჩამოყალიბებული.**

ონლაინ კამპანიის წარმოებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც სკოლის სოციალური ქსელი ასევე პირადი გვერდი ან სპეციალური პლატფორმა, სადაც თქვენი სკოლის ინიციატივას ან პროექტს განათავსებთ.

კამპანიის ფარგლებში მოსწავლეებთან ერთად შეგიძლიათ შექმნათ კრეატიული ფოტო ან ვიდეო მასალა და ისე გააჟღეროთ თქვენი სათქმელი.

პლატფორმაზე „ორბელიანი მეტი“ თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ სკოლების კამპანიების მაგალითებს:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა
2. ჩემი ოცნების ლაბორატორია
3. შექმენი ლაბორატორია ლენტეხელი ბავშვებისთვის

სკოლაში საჭირო რესურსების მობილიზებაში მშობლებთან ერთად მასწავლებლებსაც შეუძლიათ აქტიური როლი შეასრულონ და ამ საქმეში „დაეხმარე სკოლას“ კამპანია და პლატფორმა donors.ge დაგეხმარებათ.

რაც შეეხება **ჯილდოზე დაფუძნებულ ქრაუდფანდინგს,** მას წახალისებაზე დაფუძნებულ მოდელსაც უწოდებენ. მთავარი პრინციპი ის არის, რომ თქვენ შეგიძლიათ წინასწარ გაყიდოთ პროდუქტი ან მომსახურება და მიღებული თანხა კი მისი შექმნისთვის გამოიყენოთ.

წარმოიდგინეთ, გსურთ სკოლაში მოსწავლეებისთვის თეატრალური ან სპორტული სივრცის მოწყობა. თქვენ შეგიძლიათ წინასწარ გაყიდოთ ამ კონკრეტული ღონისძიების ბილეთები და კამპანიაში ჩართულ მხარდამჭერებს სივრცის მოწყობის შემდეგ უმასპინძლოთ თეატრალურ საღამოზე ან სპორტულ აქტივობაზე. ან შეიძლება გსურთ მოსწავლეებისთვის შემოქმედებითი წრის მოწყობა და გჭირდებათ შესაბამისი რესურსები, რათა მათ შექმნან ხელნაკეთი ნივთები, ამავე პრინციპით შეგიძლიათ წინასწარი მიიღოთ შეკვეთები, მიღებული თანხა მასალების შესაძენად გამოიყენოთ. მსგავსი მეთოდით კამპანიის წარმოებისას მხარდამჭერებისთვის ჯილდო წამახალისებელია და კამპანიაში ჩართვის მოტივაციაზეც დადებითაც მოქმედებს. სხვა-

თაშორის, ამ პრაქტიკას აქტიურად იყენებდნენ გამოჩენილი მწერლები თუ მუსიკოსები, რომელთაც არ ჰქონდათ ფინანსები დაებეჭდათ საკუთარი ნაწარმოები.

ქრაუდფანდინგის კამპანიის წარმოებისას, თანხის მობილიზების პროცესში, რიგითი მოქალაქეების გარდა, შეგიძლიათ კომპანიებიც ჩართოთ. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით აქტიური გახდა ბიზნესი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც როგორც ერთჯერად აქტივობებს, ასევე გრძელვადიან პროექტებსაც აფინანსებენ. თუ თქვენ მათ წარუდგენთ ინიციატივას, მკაფიო მიზნით და აჩვენებთ, როგორი დადებითი შედეგი ექნება მათ ჩართულობას, მხარდაჭერის მოპოვება შესაძლებელია. თქვენი სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ მოსწავლეებთან ერთად მოამზადოთ წერილი ან ვიზუალური მასალა და მიმართოთ ისეთ მცირე, საშუალო თუ მსხვილ ბიზნესებს, რომლებიც ამ კონკრეტული თემით არიან დაინტერესებულები და/ან იმავე ქალაქსა თუ რეგიონში საქმიანობენ სადაც თქვენ ცხოვრობთ. მაგალითად:

- თუ სკოლის გარშემო გარე სივრცის გამწვანება გსურთ, ისეთ კომპანიებს ან ფონდებს უნდა მიმართოთ, ვინც ხშირად საუბრობს გარემოსდაცვით მიმართულებაზე.
- თუ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებისთვის ტექნიკის ან რესურსების შეძენა გჭირდებათ, ისეთ ბიზნესს უნდა შეეხმიანოთ ვისთვისაც განათლება არის პრიორიტეტული მიმართულება.
- სკოლაში ექიმის ოთახის სათანადო აღჭურვის სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ ითანამშრომლოთ აფთიაქებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კამპანიების დაგეგმვისას, შეიძლება გვაფერხებდეს მოსაზრება, რომ თქვენს მიერ წამოჭრილი პრობლემა, მხოლოდ მცირე ჯგუფს, მაგალითად, თქვენს სკოლას ეხება და მისი გადაჭრის პროცესში საზოგადოების სხვა ჯგუფები ან თუნდაც კომპანიები არ ჩაერთვებიან. თუმცა, არ დაგავიწყდეთ, ჩვენს გარშემო, მათ შორის სკოლებში, არსებული პრობლემების მოგვარებით ხელს უწყობთ საერთო გარემოს გაუმჯობესებას, იმ გარემოსი, რომელშიც ყველა ერთად ვცხოვრობთ.

როგორ დავგეგმოთ თანხის შეგროვების კამპანიები და რა უნდა გავითვალისწინოთ?

დღეს სკოლებში არსებული თანხის შეგროვების პრაქტიკის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში ხდება თანხის „აგროვება ხელზე" ან ჩარიცხვით, კონკრეტული პირის ანგარიშზე, რომელიც მარტო ან რამდენიმე სხვა მშობელთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას და აკეთებს პროცესის სრულ მენეჯმენტს. ასეთ დროს სხვა მშობლებში ჩნდება ხოლმე განცდა, რომ ისინი სხვაგვარად გააკეთებდნენ, ნაკლებს დახარჯავდნენ და ა.შ. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს თუ რა უნდა გავითვალისწინოთ თანხის შეგროვების პროცესში, რომ არ იყოს ქაოტური და არ გამოიწვიოს უკმაყოფილება.

- პირველ რიგში, თუ თქვენ ხართ ის ადამიანი, ვინც აორგანიზებს თანხის შეგროვების პროცესს, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ინიციატივის წამოყენებისას, მნიშვნელოვანია **თქვენი მიზანი იყოს გასაგები** იმ ადამიანებსითვის, ვისგანაც საჭიროა ფინანსური თუ სხვა ტიპის მხარდაჭერა.
- სწორად უნდა შეარჩიოთ **თანხის შეგროვების დრო** (ეს რა თქმა უნდა, არ ეხება გადაუდებელ საჭიროებებს). როდესაც ოჯახებს ისედაც ბევრი ხარჯი აქვთ, თანხის შეგროვება დამატებითი ტვირთი იქნება და მიუხედავად აუცილებლობისა, შესაძლოა თქვენს ინიციატივას მხარი არ დაუჭირონ. ასეთი პერიოდებია, მაგალითად: სკოლის დაწყება, ახალ წელი ან გამოსაშვები საღამოს წინა კვირები. თუ თანხის შეგროვებას ბოლო მომენტში დაიწყებთ და მშობლებს ცოტა დრო ექნებათ, შესაძლოა, ამანაც გაართულოს პროცესი.
- ამასთანავე, მნიშვნელოვანია რომ **პროცესი არ იყოს იძულებითი** და გათვალისწინებული იყოს, როგორც თითოეული მშობლის მოსაზრება, ასევე სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, თუ თქვენი შემოსავლიდან გამომდინარე თვლით, რომ 10 ლარი არ არის დიდი თანხა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველასთვის იგივე ღირებულება აქვს 10 ლარს.
- იმისათვის, რომ თანხის **შეგროვების პროცესი იყოს მარტივი,** სწორად შეარჩიეთ ფორმა.თუ არავინ იყენებს ბარათს და თქვენ გადაწყვეტთ, რომ თანხა ანგარიშზე უნდა ჩაგირიცხონ, ეს რა თქმა უნდა გაართულებს სიტუაციას.

- და ბოლოს, შესრულებული საქმის შემდეგ აუცილებელია რომ სხვა მშობლებიც ინფორმირებულები იყვნენ თუ რა და როგორ გაკეთდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომ **ხარჯების ნაწილი იყოს გამჭვირვალე** და ყველას ჰქონდეს ინფორმაცია როგორ დაიხარჯა მათი ფული.

სკოლაში თანხის შეგროვების პროცესში მშობლების გარდა, სასურველია მოსწავლეები და მასწავლებლებიც ჩაერთონ – ეს ყველას ინტერესის გათვალისწინებას შეუწყობს ხელს.

გიზიარებთ რამდენიმე იდეას, რა კამპანიები შეიძლება დაგეგმოთ სკოლებში კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად:

თუ სკოლაში რაიმე საჭიროებისთვის ფინანსების მობილიზებაა საჭირო და ის მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის პრობლემას არ წარმოადგენს, შეგიძლიათ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ერთად შეარჩიოთ ერთი დღე, როდესაც:

- გაყიდით მოსწავლეების ხელნაკეთ ნივთებს, მეორად წიგნებს ან სხვადასხვა ნივთებს.
- მოსწავლეები დააორგანიზებენ თეატრალურ, მუსიკალურ ან სპორტულ აქტივობებს, სადაც სიმბოლურ ფასად გაყიდიან ბილეთებს.

ასეთ შემთხვევებში, მშობლები არსებული ფინანსური რესურსების შესაბამისად ჩაერთვებიან პროცესში და შემდგომ უთანხმოებასაც თავიდან ავირიდებთ. მოსწავლეების მონაწილეობაც სასარგებლოა, რადგან იძენენ ლიდერობის მნიშვნელოვან უნარებს. მსგავსი აქტივობები მოითხოვს მოსწავლეების ერთად მუშაობას, მათთან ერთად მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობას, რათა მიაღწიონ საერთო მიზნებს. მოსწავლეები სწავლობენ საზოგადოების მნიშვნელობას, როგორ დააორგანიზონ სხვადასხვა აქტივობები და როგორ გაერთიანდნენ საერთო მიზნისთვის. პარალელურად, ეს ყოველივე ხელს უწყობს მათში გაცემის კულტურის ჩამოყალიბებას და მთლიანობაში პროცესი გაცილებით უფრო სახალისო და შემოქმედებითია.

როგორ დავამყაროთ სკოლასთან სწორი კომუნიკაცია

სკოლისა და მშობლების ურთიერთობა, როგორც წესი, პოზიტიური მუხტით იწყება, თუმცა 12 წლიანი ურთიერთობა გამოწვევებით არის სავსე, და ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კომუნიკაცია რთულდება.

იმისთვის, რომ კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ, მნიშვნელოვანია ორმხრივად დავიცვათ თავაზიანობის წესები, სკოლაც და ოჯახიც ერთმანეთის მიმართ იყოს მეგობრულად განწყობილი, თანასწორობის პრინციპის და რაც მთავარია, ბავშვის ერთგული.

მშობლებო! იმისთვის, რომ მასწავლებელთან, სკოლის დირექციასთან ჯანსაღი ურთიერთობა დავამყაროთ, არა მარტო მათგან უნდა მოვისმინოთ ინფორმაცია, არამედ ჩვენი უკუკავშირიც გავუზიაროთ. სკოლასა და მშობლებს შორის ეფექტური კომუნიკაცია სწორედ ორმხრივ, გააზრებულ ურთიერთობას გულისხმობს.

ამ სტატიაში განვიხილავთ მშობლისა და მასწავლებლის **სატელეფონო საუბარს, პირისპირ შეხვედრასა და მშობელთა კრებას, ასევე, შევეხებით, წერით კომუნიკაციას, მიმოწერებს ჩათებსა თუ დახურულ ჯგუფებში.**

სატელეფონო საუბარი

მნიშვნელოვანია მშობელს და მასწავლებელს ჰქონდეთ ერმანეთის ტელეფონის ნომრები და იცოდნენ საუბრისთვის შესაფერისი დრო, როდესაც ერთმანეთს ხელს არც მუშაობაში შეუშლიან და არც დასვენებაში. სრულიად შესაძლებელია, მასწავლებელი და მშობელი სასწავლო წლის დასაწყისშივე შეთანხმდნენ, რა დროს არის ხელსაყრელი ერთმანეთთან დარეკვა და ეს წესი დაიცვან. ცხადია, გამონაკლისებიც შეიძლება დაუშვან, თუ ამის აუცილებელი საჭიროება დადგება.

მარტივი წესები სატელეფონო კომუნიკაციისთვის:

- ტელეფონი გამოვიყენოთ შეხვედრის დასაგეგმად
- საქმეზე სასაუბროდ შევხვდეთ პირადად
- თუ ვერ ვახერხებთ დროულად შეხვედრას, დავუშვათ გამონაკლისი
- ტელეფონზე საუბრის დროს არ ვიჩქაროთ
- ყურადღება გავამახვილოთ ხმის ტემბრზე
- ვისაუბროთ თავაზიანად

თანამოსაუბრე უნდა გრძნობდეს, რომ ჩვენ ვზრუნავთ ბავშვზე და არ ვცდილობთ ჩვენი კონტროლის ქვეშ მოვაქციოთ სიტუაცია. ზოგჯერ, როცა ამის საფუძველი რეალურად გვაქვს, მადლობის სათქმელადაც დავურეკოთ ერთმანეთს. სასიამოვნოდ გაოცება მასწავლებელს და მშობელს ერთნაირად ესიამოვნებათ და უფრო კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდებათ.

პირისპირ შეხვედრა

მშობლისა და მასწავლებლის პირისპირ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათ წელიწადში რამდენჯერმე მაინც უნდა შეეძლოთ მშვიდად საუბარი ბავშვის საჭიროებების შესახებ.

სასურველია, მოსწავლის მშობელმა კონკრეტული დღეების, საათების და ფორმატის მითითებით იცოდეს, როდის და რა პირობებშია შესაძლებელი შვილის სკოლაში მისვლა. ამისთვის აუცილებელია სკოლას ჰქონდეს მშობლებთან კომუნუკაციის კალენდარი. მაგრამ თუ ასეთი გეგმა-გრაფიკი არ არსებობს, ეს არ ნიშნავს, რომ მშობელს სკოლაში მისვლა ან შენობაში შესვლა აკრძალული აქვს. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს აკრძალვა არაკანონიერია და ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების შესახებ კანონის II თავის, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით დაუშვებელია მშობლის უფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომ არსებითად გაუქმების ტოლფასი იყოს. ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე და არა რომელიმე ადამიანის ერთპიროვნული ზეპირი გადაწყვეტილებით, თუნდაც დი-

რექტორი იყოს აკრძალვის ინიციატორი. ასეთ დროს, ნაცვლად აკრძალვაზე დამორჩილებისა, მშობლებმა უნდა მოითხოვონ განრიგი, როდის, რა ფორმატში და რა პირობებში შეუძლიათ სკოლაში მისვლა, შენობის დათვალიერება, მასწავლებლებთან შეხვედრა, გაკვეთილებზე დასწრება და ა.შ.

რა არის ის ზოგადი წესები, რომელიც პირისპირ შეხვედრის დროს უნდა გაითვალისწინონ მშობელმა და პედაგოგმა?

მშობლისა და მასწავლებლის პირისპირ შეხვედრისას გასათვალისწინებელი წესები:

- შეხვედრა უნდა იყოს საქმიანი, სასურველია, კეთილგანწყობილით
- გაღიმება და ხელის ჩამორთმევა წარმატებული დიალოგის წინაპირობაა
- თავდაჯერებულობა და გულისყურით მოსმენა, სიმშვიდის და წონასწორობის შენარჩუნება მნიშვნელოვანი დეტალებია
- ერთამანეთისთვის რჩევის კითხვა და მოსაზრებების გაზიარება მისაღები ფორმატია.
- სიტყვებში ან ქცევაში ცინიზმის გამოჩენა ხელს შეუშლის დიალოგს

საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ერთმანეთს უკან დახევის საშუალებაც მივცეთ, თან ისე, რომ ამის გამო თავი "დამარცხებულად" არ იგრძნოს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩვენ ხანგრძლივად გვიწევს ურთიერთობის გაგრძელება.

მშობელთა კრება

მშობელთა კრება არ არის სკოლასთან კომუნიკაციის ერთადერთი გზა, მეტიც, ბევრ სკოლაში ასეთი შეკრებები აღარ ტარდება და ჩანაცვლებულია ინდივიდუალური ან წარმომადგენლობითი შეხვედრებით. თუმცა თუ მაინც აპირებთ, რომ ჩაატაროთ კრება ან მონაწილეობთ მასში, მნიშვნელოვანია, რამდენიმე მარტივი წესის დაცვა.

მშობელთა კრების დაგეგმვა რეკომენდირებულია საერთო საკითხების გასაცნობად, მაგალითად:

- არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა
- სასწავლო პროგრამების გაცნობა
- საგნის მასწავლებლების და მათი მეთოდოლოგიის გაცნობა
- სკოლის სკოლის წესდების, შინაგანაწესის, ხელშეკრულების გაცნობა
- დღის რეჟიმის ან სასწავლო პროგრამების პრეზენტაცია და სხვა.

მშობელთა კრების დაგეგმვა არ არის რეკომენდირებული:

- თუ ადგილი აქვს ჯგუფის მიერ ინდივიდთან დაპირისპირებას
- თუ განსახილველი თემატიკის მიმართ საზოგადოება განსაკუთრებით მგრძნობიარეა
- თუ უნდა ვისაუბროთ:
  - მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ
  - მოსწავლის ქცევათა სისტემის შესახებ
  - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

მშობელთა კრებას უნდა ჰყავდეს ფასილიტატორი, რომელიც უზრუნველყოფს რეგლამენტის დაცვას; იმას, რომ მონაწილეებმა თემას არ გადაუხვიონ. თუ კრებაზე მისვლას რეგულარულად ვერ ახერხებს ბევრი მშობელი, სკოლამ უნდა იფიქროს ცვლილებებზე, შეიძლება შეცვალოს დრო, ან ფორმატი. ან სულ მცირე, კრების ოქმი გაუგზავნოს ყველა მშობელს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი, რა საკითხები და როგორ განიხილა შეკრებილმა საზოგადოებამ.

საუბარი ჩათში

ბოლო დროს მშობლები და მასწავლებლები ურთიერთობის საშუალებად რეგულარულად იყენებენ წერით ფორმებს. იქნება ეს სოციალური ქსელი, მესენჯერი, ვაიბერი თუ სხვა პლატფორმები. მიიჩნევა, რომ ურთიერთობის ეს ფორმა უფრო მარტივია. ძალიან ხშირად, თითოეულს კლასს ორი ჩათიც კი აქვს, ერთში, რომელ-

შიც მასწავლებელიც არის და მეორე – რომელშიც მხოლოდ მშობლები არიან. რა თქმა უნდა, უმჯობესია, თუ სასკოლო საკითხების, მათ შორის პრობლემების განხილვა მოხდება იმ სივრცეში, სადაც არიან სკოლის წარმომადგენლები, იმიტომ რომ ამ პრობლემების მოგვარება მათ შეუძლიათ. ცალკე მშობლების ჩათი, ნაკლებად ასრულებს სასარგებლო როლს. და საჭირო უმეტესად მაშინ ხდება, როცა მშობლებს აქვთ ინფორმაციის დეფიციტი.

მშობლებსა და მასწავლებლებს შორის წერითი კომუნიკაციის სპეციფიკა

- ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი წერილი არის ფიქსირებული დოკუმენტი
- მოვერიდოთ წერილობით კომუნიკაციას საკამათო საკითხებზე
- წერისას სიტყვებს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება
- არ გამოვიყენოთ ბუნდოვანი გამოთქმები და ორაზროვანი სიტყვები

რადგან ჩვენს თანამოსაუბრეს, მშობელი იქნება ის, თუ მასწავლებელი, დრო სჭირდება იმის დასაზუსტებლად, ჩვენ რას ვგულისხმობთ. ხშირად ადამიანები მხოლოდ იმიტომ იწყებენ კამათს, რომ სხვადასხვანაირად ესმით წაკითხულის შინაარსი. ამიტომ ვიყოთ ფრთხილად და დავიცვათ ზომიერება.

FACEBOOK-ის დახურული ჯგუფი

Facebook დახურული ჯგუფი მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინსტრუმენტია. ინფორმაციის სწრაფად გასავრცელებლად გამოიყენება და ერთგვარი სადისკუსიო სივრცეც არის.

თუმცა კარგი იქნებოდა, facebook ჯგუფს ჰქონდეს წესები, რომელსაც ჯგუფის შემქმნელი წარადგენს და გაწევრიანებამდე ყველას მოუწევს დაეთანხმოს.

კომუნიკაცია კლასის/სკოლის დახურულ ჯგუფში

- დახურულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს წესები
- დაუშვებელია ჯგუფში პერსონალური მონაცემების შემცველი პოსტების გამოქვეყნება
- დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება და არათემატური საუბრები
- დაუშვებელია ჯგუფში დელიკატური საკითხების განხილვა, თუ იქ ბავშვებიც არიან

ეს დაგვიცავს, რომ დროთა განმავლობაში დახურული ჯგუფი არ გადაიქცეს ერთგვარ „ბრძოლის ველად“, ემოციებისგან დაცლის ან დაპირისპირების ადგილად. რადგან, წერილობითი კომუნიკაცია ურთიერთობის არასრულყოფილი ფორმაა და ახლავს რისკები.

როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენი შვილის სკოლაში პრობლემაა

რა შეუძლიათ გააკეთონ მშობლებმა, რომელთა შვილების სკოლებშიც წლობით გრძელდება მოუგვარებელი პრობლემები?!

ხშირად ხდება, რომ მშობლები მიმართავენ დამრიგებელს, დირექტორს, მაგრამ არაფერი იცვლება იმ მიზეზით, რომ დამრიგებელი და დირექტორი შესაძლოა უძლური იყვნენ მასშტაბური პრობლემის მოგვარების გზაზე. ასეთ დროს, ზოგჯერ სწორედ სკოლის თანამშრომლები ცდილობენ ჩაახშონ მშობლების პროტესტი, რადგან აქვთ სამსახურიდან გათავისუფლების შიში. ისინი მშობლებს არწმუნებენ, რომ პრობლემის შესახებ ღიად საუბარი, დამატებით გამოწვევებს შეუქმნით. ასეთ შემთხვევაში, მშობლები იბნევიან და უძლურები ხდებიან. ბევრი მათგანი ფარ-ხმალს ყრის და იმის ნაცვლად, დაიცვას ბავშვის ინტერესები, ფიქრობს „ჩემს აქტიურობას რა აზრი აქვს?!“.

ცხადია, ასეთ დროს მშობლების სპონტანური მოქმედება საკმარისი არ არის პრობლემის დასაძლევად. როცა შვილების განათლების უფლება ირღვევა, საჭიროა მშობლები გამოვიდეთ ჩვენი კომფორტის ზონიდან, შევიძინოთ თანამოაზრეები, დავსახოთ გეგმა და გამოვიწვიოთ სასურველი ცვლილებები სკოლაში.

ცვლილებების პროცესში მონაწილეობა არ არის მარტივი საქმე, განსაკუთრებით სკოლის დონეზე. ბევრისთვის ის შეიძლება გახდეს საზოგადოებრივ აზრთან, საყოველთაოდ მიღებულ ჩვევებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან დაპირისპირების მიზეზი. თუმცა არსებობენ მშობლები, რომელთან შესწევთ ძალა, იმუშაონ თავისი და სხვისი შვილების კეთილდღეობისთვის და უარი თქვან პირადი სარგებლის სანაცვლოდ გაჩუმებაზე.

თუ მოსწავლეთა მშობლები გადაწყვეტენ შვილების ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებას, მათი პირველი ამოცანა უნდა იყოს თანამოაზრეების მოძიება. საჭიროა ერთმანეთთან შეხვედრე-

ბი, პრობლემის იდენტიფიკაცია, სხვადასხვა აქტივობების ჩამონათვალის გაკეთება და იმის გააზრება, რას მოგვიტანს თითოეული.

შესაძლოა მშობლებს დასჭირდეთ დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, ინფორმაციის გადამოწმება, გასაუბრებები, მათ შორის მათთან, ვინც ერთი შეხედვით არ არის მათი თანამოაზრე.

მშობლების მხრიდან ხშირად დაშვებული შეცდომაა ემოციებზე აყოლა. ბრაზის თუ წყენის უხეში და მიუღებელი ფორმებით გამოხატვა ხელს უშლის დაგეგმილ აქტივობებს და ხშირად იწვევს სპონტანურ ქმედებებს, რაც როგორც წესი მხოლოდ აზიანებს პროცესს.

სკოლის დონეზე სავსებით რეალურია, საწინააღმდეგო აზრის მიუხედავად, გვქონდეს კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ცვლილებები მოლაპარაკებების გზითაც შეიძლება მიიღწეს. სწორედ ამიტომ, აქტიურმა მშობლებმა, სანამ პროტესტის სხვა ფორმებს დაგეგმავენ, პირველ რიგში, მოლაპარაკებების შესაძლებლობები უნდა გამოიყენონ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენ გვგონია, რომ მტრულ გარემოში ვმოქმედებთ, სინამდვილეში კი უბრალოდ გადაწყვეტილების მიმღები პირები ვერ აცნობიერებენ საკითხის აქტუალობას. თუ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ ზიანთან, რომელიც ჩვენს შვილებს ეხება, შეგვიძლია ვიმოქმედოთ უფრო თამამად. აქტიურმა მშობლებმა შეიძლება გამართონ საინფორმაციო შეხვედრები, სხვადასხვა სახის ღონისძიები, მათ შორის აქციები და პერფორმანსები. მიმართონ მედიას, გამოიყენონ სოციალური ქსელები, საქმეში ჩართონ ბავშვთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები და თუ საჭიროა მიმართონ სასამართლოსაც.

ყველა ეს ნაბიჯი ლეგიტიმურია და არ შეიძლება გახდეს სკოლის ან განათლების სისტემის სხვა რგოლების მხრიდან გაკიცხვის და განსჯის საფუძველი. მშობელი შვილის კანონიერი წარმომადგენელია და მისი მოვალეობაა, დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები იქ, სადაც სახელმწიფო არ აკეთებს ამას.